გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

განკარგულება № 29
2024 წლის 11 მარტი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 11 მარტის
სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტისა და ”გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების 54-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო,

ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 11 მარტის სხდომის დღის წესრიგის პროექტი დანართი N1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

დანართი N1

1.„გორის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის №50 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტი;

/ მომხს.ასმათ ტალახაძე/

2.„გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების და ადმინისტრირების წესის განსაზღვრის შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტი;

/მომხს.ლეილა მამულაშვილი/

3.„გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი;

/მომხს.ლეილა მამულაშვილი/

4.„გორის მუნიციპალიტეტის პროფესიული საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების 2024 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.ლეილა მამულაშვილი/

5.„გორის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.გიორგი გოგშელიძე/

6.,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 9 თებერვლის N17 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

7.,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 9 თებერვლის N18 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

8. „გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობის (ს/კ 66.52.23.004), პირობიანი აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

9.„გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ საქართველოს სამარიტელთა კავშირისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ” განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

10.„ქ. გორში, მეჯვრისხევის ბარაკი N2 დასახლებაში მცხოვრები ოჯახის წყალარინების ქსელზე მიერთების საფასურის გადასახდელად ფინანსური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ” განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

11.„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

12.„გორის მუნიციპალიტეტში, კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცხინვალის გზატკეცილზე, სსიპ - საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისასვლელი გზის კვეთასთან (ქალაქ გორის მიმართულებით), ამკრძალავი საგზაო ნიშნის განთავსების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

13.„გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალუბნის ცენტრში საინფორმაციო-მაჩვენებელი საგზაო ნიშნის განთავსების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

14.„გორის მუნიციპალიტეტში, გორი-კავთისხევის გზიდან სოფელ ქვახვრელის მისასვლელ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე საგზაო მაფრთხილებელი ნიშნების განთავსების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

15.„გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელში, სუპერმაკეტის და პურის საცხობის მიმდებარედ, 1 (ერთი) ლოკაციაზე „ხელოვნური უსწორმასწორობის“ განთავსების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

16.„გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მშენებლობის კონტროლის განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

17.„ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს 2023 წლის საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.გიორგი გოგშელიძე/

18.“გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.ლეილა მამულაშვილი/